# თვითმმართველი ქალაქის -ქუთაისის 2012 წლის
# ბიუჯეტის შესრულების ანგარიში

ქალაქ ქუთაისის ბიუჯეტი დამტკიცდა 2011 წლის 22 დეკემბერს ქალაქ ქუთაისის საკრებულოს N143 დადგენილებით 36445,0 ათასი ლარის ოდენობით. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ბიუჯეტში შევიდა 13 ცვლილება და წლის ბოლოს 67841,3 ათასი ლარი შეადგინა.

2012 წელს თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისისათვის შემდეგი პრიორიტეტები განისაზღვრა:

- ქალაქის ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;
- სკოლამდელი განათლება;
- კულტურა, რელიგია, სპორტი და ახალგაზრდობის ხელშეწყობა;
- საგანგებო სიტუაციების პრევენცია, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება.

ქალაქ ქუთაისის 2012 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსულობების გეგმის (ნაშთის ჩათვლით 67841,3 ათასი ლარი) ფაქტობრივმა შესრულებამ 68319,2 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 100,7%-ია. 2011 წელთან შედარებით (ფაქტი - 59315,2 ათასი ლარი) მიღებულია 9004,0 ათასი ლარით მეტი შემოსავალი.

თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის 2012 წლის ბიუჯეტში წარმოდგენილია პროგრამული ბიუჯეტის დამახასიათებელი მახასიათებლები, რომლებიც საშუალებას იძლევა ბიუჯეტი თავიდანვე ორიენტირებული იყოს შედეგებზე. მასში ჩანს არა მხოლოდ ათვისებული ასიგნებები, არამედ მიღწეული შედეგები.

## ქალაქ ქუთაისის 2012 წლის ბიუჯეტის ბალანსი

| დასახელება | 2012 წელი | | |
|---|---|---|---|
| | დამტკიცებული გეგმა | დაზუსტებული გეგმა | საკასო შესრულება |
| შემოსავლები | 33,745.0 | 53,853.8 | 55,032.0 |
| გადასახადები | 4,110.0 | 4,110.0 | 4,547.5 |
| გრანტები | 24,236.9 | 42,072.8 | 41,976.2 |
| სხვა შემოსავლები | 5,398.1 | 7,671.0 | 8,508.3 |
| ხარჯები | 34,030.9 | 43,141.2 | 40,653.7 |
| შრომის ანაზღაურება | 4,401.8 | 5,096.6 | 4,986.8 |
| საქონელი და მომსახურება | 4,376.7 | 5,951.5 | 5,512.0 |
| პროცენტი | 442.0 | 350.2 | 350.1 |
| სუბსიდიები | 22,743.0 | 29,389.9 | 27,619.1 |
| გრანტები | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 2,067.4 | 2,353.0 | 2,185.7 |
| სხვა ხარჯები | | | |
| საოპერაციო სალდო | -285.9 | 10,712.6 | 14,378.3 |

| | | | |
|---|---|---|---|
| არაფინანსური აქტივების ცვლილება | -1,037.5 | 21,210.4 | 18,641.8 |
| ზრდა | 1,662.5 | 23,910.4 | 20,364.2 |
| კლება | 2,700.0 | 2,700.0 | 1,722.4 |
| მთლიანი სალდო | 751.6 | -10,497.8 | -4,263.5 |
| ფინანსური აქტივების ცვლილება | 0.0 | -11,287.5 | -5,043.8 |
| ზრდა | | 0.0 | 6,521.0 |
| ვალუტა და დეპოზიტები | | | |
| სესხები | | | |
| აქციები და სხვა კაპიტალი | | | |
| სხვა დებიტორული დავალიანებები | | | 6,521.0 |
| კლება | 0.0 | 11,287.5 | 11,564.8 |
| ვალუტა და დეპოზიტები | | | |
| სესხები | | | |
| აქციები და სხვა კაპიტალი | | | |
| სხვა დებიტორული დავალიანებები | | 11,287.5 | 11,564.8 |
| ვალდებულებების ცვლილება | -751.6 | -789.7 | -780.3 |
| ზრდა | | | 0.0 |
| კლება | 751.6 | 789.7 | 780.3 |
| საშინაო | 751.6 | 789.7 | 780.3 |
| საგარეო | | | |
| ბალანსი | 0.0 | 0.0 | 0.0 |



სახეობების მიხედვით შემოსულობები შემდეგნაირად გამოიყურება:




**შემოსავლები**

ქალაქ ქუთაისის 2012 წლის ბიუჯეტის შემოსავლებმა (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) 55032,0 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 53853,8 ათასი ლარის 102,2%-ია და მთლიანი შემოსავლების 80,6%. წინა წლის აღნიშნულ მაჩვენებელს (2011 წლის ფაქტი 44830,6 ათასი ლარი) 10201,4 ათასი ლარით აღემატება.



**გადასახადების** სახით 2012 წელში ადგილობრივ ბიუჯეტში მობილიზებულია 4547,5 ათასი ლარი, რომლის დიდი ნაწილი ქონების გადასახადზე მოდის. გეგმა (4110,0 ათასი ლარი) შესრულდა 110,6%-ით.

**ქონების გადასახადიდან** საანგარიშო პერიოდში ფაქტობრივად მიღებულია 4546,3 ათასი ლარი, რაც გეგმის (4110,0 ათასი ლარი) 110,6%-ია, მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადი - 3548,7 ათასი ლარი (გეგმა 3000,0 შესრულდა 118,3%-ით), ფიზიკურ პირთა ქონების გადასხადი - 207,2 ათასი ლარი (გეგმა 110,0 ათასი ლარი შესრულდა 188,3%-ით), გადასახადი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე - 789,4 ათასი ლარი (გეგმის 1000,0 ლარი 79%). სხვა გადასახადები ქონებაზე მიღებულია 1,0 ათასი ლარი. მთლიანობაში ქონების გადასახადიდან წინა წელთან (ფაქტი - 5036,0 ათასი ლარი) შედარებით მიღბულია 489,7 ათასი ლარით ნაკლები შემოსავალი.

სხვა გადასახადების სახით ბიუჯეტში მიღებულია 1,2 ათასი ლარის შემოსავალი.




| ქონების გადასახადი | 2012 წლის გეგმა | 2012 წლის ფაქტი | შესრულების % |
|---|---|---|---|
| საწარმოთა ქონებაზე გადასახადი | 3000,0 | 3548,7 | 118,3 |
| ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი | 110,0 | 207,2 | 188,3 |
| მიწაზე ქონების გადასახადი | 1000,0 | 789,4 | 79 |
| სხვა გადასახადები ქონებაზე | | 1,0 | |
| სულ | 4110,0 | 4546,3 | 110,6 |

## გრანტები

2012 წელს გრანტების სახით ქუთაისის ბიუჯეტში ჩაირიცხა 41976,2 ათასი ლარი, გეგმის (42072,8 ათასი ლარი) 99.8%, აქედან გათანაბრებითი ტრანსფერი - 24021,9 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი - 190,0 ათასი ლარი, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ფინანსნური დახმარება - 1468,3 ათასი ლარი, მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ფინანსნური დახმარება - 2016,0 ათასი ლარი, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი ფინანსური დახმარება - 14280,0 ათასი ლარი.




## სხვა შემოსავლები

2012 წლის განმავლობაში სხვა შემოსავლების კუთხით შემოვიდა 8508,3 ათასი ლარი, რაც გეგმის 7671,0 ათასი ლარის 110,9%-ს შეადგენს.




**პროცენტებიდან** ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსულია 189,7 ათასი ლარი, რომელიც წარმოადგენს მომსახურე ბანკის მიერ წლის ბოლოს დარიცხულ პროცენტს. ასევე მიღებულია დივიდენდების სახით 58,3 ათასი ლარი.

**რენტის** სახით ბიუჯეტში შემოსულია 374,2 ათასი ლარი, მათ შორის:

მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის - 278,5 ათასი ლარი (გეგმის 235,0 ათასი ლარი) 118,5 ათასი ლარი;

შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან - 95,7 ათასი ლარი გეგმა (98,0 ათასი ლარი) შესრულდა 97,6%-ით;

**სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი** - 1820,8 ათასი ლარი, გეგმის (2215,0 ათასი ლარი) 82,2%, სახეობების მიხედვით შემდეგნაირად განაწილდა: სათამაშო აპარატებიდან - 1771,5 ათასი ლარი, სისტემურ-ელქტრონული ფორმის თამაშობიდან - 29,3 ათასი ლარი, სხვა არაკლასიფიცირებული სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლიდან - 20,0 ათასი ლარი;

**ადგილობრივი მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვაზე (გარდა განსაკუთებული მშენებლობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტის მშენებლობისა)** – 41,7 ათასი ლარი, გეგმის (50,0 ათასი ლარი) 83,4%;

**სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი** - ფაქტიურად შემოვიდა 18,4 ათასი ლარი, რაც გეგმას (5,1 ათასი ლარი) 13,3 ათასი ლარით აჭარბებს;

**ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის** შესრულდა 102,7%-ით (გეგმა 1150,0 ათასი ლარი), ფაქტიურად შემოვიდა 1180,7 ათასი ლარი. ასევე

სხვა არაკლასიფიცირებული ადგილობრივი მოსაკრებლების კუთხით მიღებულია 51,2 ათასი ლარი;

**შემოსავალი მომსახურების გაწევიდან** მთლიანობაში მიღებულია 456,4 ათასი ლარი, გეგმა (400,0 ათასი ლარი) შესრულდა 114,1%-ით;

**შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები)** - ფაქტიურად შემოსულმა თანხამ შეადგინა 2327,0 ათასი ლარი, რაც გეგმის (1910,0 ათასი ლარი) 121,8%-ია. 2011 წელთან შედარებით (ფაქტი 2255,2 ათასი ლარი) მიღებულია 71,8 ათასი ლარით მეტი შემოსავალი.

**შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების** კუთხით სულ მიღებულია 1989,9 ათასი ლარი, გეგმა (1607,9 ათასი ლარი) შესრულდა 123,8%-ით. მათ შორის: შემოსულობა ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვიდან - 282,3 ათასი ლარი, სხვა არაკლასიფიცირებული გადასახადი - 1707,6 ათასი ლარი.

**არაფინანსური აქტივები**

არაფინანსური აქტივების კუთხით ადგილობრივ ბიუჯეტში ჩაირიცხა 1722,4 ათასი ლარი, გეგმა (2700,0 ათასი ლარი) შესრულდა 63,8%-ით, სადაც ძირითადი აქტივების გაყიდვიდან შემოვიდა 514,5 ათასი ლარი, ხოლო მიწის გაყიდვიდან 1207,9 ათასი ლარი.

| დასახელება | 2012 წელი | | |
|---|---|---|---|
| | გეგმა | ფაქტი | % |
| **არაფინანსური აქტივები** | **2700,0** | **1722,4** | **63,8** |
| შემოსულობა ძირითადი აქტივების გაყიდვიდან | 1500,0 | 514,5 | 34,3 |
| შემოსულობა არაწარმოებული აქტივის (მიწის) გაყიდვიდან | 1200,0 | 1207,9 | 100,7 |

## ფინანსური აქტივები

ფინანსურმა აქტივებმა შეადგინა 11564,8 ათასი ლარი. 2011 წლის ბოლოს ბიუჯეტის ერთიან ანგარიშზე დარჩენილმა ნაშთმა შეადგინა 11305,1 ათასი ლარი, 2012 წლის იანვარში ნაშთი შემცირდა 17,6 ათასი ლარით ( დაბრუნდა მიზნობრივი ტრანსფერი სახელმწიფო ბიუჯეტში) და დარჩა 11287,5 ათასი ლარი, 277,3 ათასი ლარი წარმოადგენს სხვაობას საანგარიშო პერიოდის ბოლოს ქუთაისის ბიუჯეტის ერთიან ანგარიშზე ჩარიცხულ თანხასა და ხაზინის მიერ აღრიცხულ თანხებს შორის.

**ვალდებულებები**

აღებული ვალდებულებების დასაფინანსებლად 2012 წლის ბიუჯეტში წლიური დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 789,7 ათასი ლარის ოდენობით, აქედან:

ქალაქ ქუთაისის მერიასა და მუნიციპალური განვითარების ფონდს შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, 2012 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული და დახარჯული იქნა ქალაქ ქუთაისში 2004–2005 წლებში განხორციელებული პროექტებისათვის აღებული ვალდებულების დასაფინანსებლად 589,7 ათასი ლარი.

წინა პერიოდში შეუსრულებელი ვალდებულებების დასაფარად და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფისათვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილია 200,0 ათასი ლარი, აქედან წლის განმავლობაში დაიხარჯა 190,6 ათასი ლარი. სულ წლის მანძილზე დაიფარა 780,3 ათასი ლარის ოდენობის ვალდებულება.

**გადასახდელები**

2012 წლის განმავლობაში ბიუჯეტის გადასახდელებმა შეადგინეს 61798,2 ათასი ლარი, რაც გეგმის 67841,3 ათასი ლარის 91,1%-ია. საანგარიშო პერიოდში აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 61800,8 ათასი ლარი.

2012 წლის ქუთაისის ბიუჯეტის გადასახდელების ეკონომიკური კლასიფიკაცია შემდეგნაირად გამოიყურება:

| დასახელება | 2012 წელი | | | |
|---|---|---|---|---|
| | წლიური გეგმა | საკასო შესრულება | შესრულების % | შენიშვნა |
| ხარჯები | 43141,2 | 40653,7 | 94,2 | |
| შრომის ანაზღაურება | 5096,6 | 4986,8 | 97,8 | |
| საქონელი და მომსახურება | 5951,5 | 5512,0 | 92,6 | |
| პროცენტი | 350,2 | 350,1 | 100,0 | |
| სუბსიდიები | 29389,9 | 27619,1 | 94,0 | |
| გრანტები | | | | |
| სოციალური უზრუნველყოფა | 2353,0 | 2185,7 | 92,9 | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სხვა ხარჯები | | | | |
| არაფინანსური აქტივები | 23910,4 | 20364,2 | 85,2 | |
| ფინანსური აქტივები | | | | |
| ვალდებულებები | 789,7 | 780,3 | 98,8 | |
| **სულ გადასახდელები** | **67841,3** | **61798,2** | **91,1** | |

თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის 2012 წლის ბიუჯეტის გადასახდელები ფუნქციონალურ ჭრილში:



ორგანიზაციული კლასიფიკაციით 2012 წლის გადასახდელები შემდეგნაირად გამოიყურება:




| დარგების დასახელება | 2012 წლის დაზუსტებული გეგმა | 2012 წლის საკასო შესრულება |
|---|---|---|
| 1 | 2 | 3 |
| **საერთო დანიშნულება** | **8719,1** | **8415,5** |
| წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება | 6936,0 | 6688,8 |
| სარეზერვო ფონდი | 500,0 | 471,4 |
| პარლამენტის მაჟორიტარი წევრის ბიურო ქუთაისის N59 საარჩევნო ოლქში | 50,0 | 50,0 |
| მუნიციპალური განვითარების ფონდი | 939,9 | 939,8 |
| შესყიდვებთან დაკავშირებული ხარჯები | 20,7 | 15,2 |
| წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა | 200,0 | 190,6 |
| ბანკის მომსახურების ხარჯი | 27,5 | 27,4 |
| საფოსტო მომსახურების ხარჯი | 10,0 | 3,7 |

| | | |
|---|---|---|
| თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების თანამშრომელთა გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამა | 35,0 | 28,6 |
| **საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება** | **2265,2** | **1843,0** |
| საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური | 1771,1 | 1359,1 |
| სამართალდამცავი ორგანოები, მათ შორის: | 494,1 | 483,9 |
| შსს იმერეთის სამხარეო პოლიცია | 361,7 | 355,3 |
| კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი | 50,0 | 46,3 |
| საპატრულო პოლიცია | 82,4 | 82,3 |
| **ეკონომიკა** | **8249,1** | **6711,5** |
| ქალაქის სტრატეგიული განვითარების გეგმა | 30,0 | 22,2 |
| სასამართლო - საექსპერტო მომსახურების ხარჯები | 50,0 | 38,9 |
| უცხოური ინვესტიციების, ბიზნესის ხელშეწყობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების პროგრამა | 59,6 | 9,1 |
| ტურიზმის განვითარების პროგრამა | 28,0 | 19,7 |
| გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები | 7851,5 | 6524,8 |
| ქალაქ ქუთაისის ქონების დაცვის განხორციელება | 30,0 | |
| ქალაქის დამცავი კედლის მოწყობის პროგრამა | 200,0 | 96,8 |
| **გარემოს დაცვა** | **4392,7** | **4144,9** |
| დასუფთავების ღონისძიებები | 3822,7 | 3662,4 |
| პროფილაქტიკურ-სადეზინფექციო ღონისძიებების პროგრამა | 40,0 | 25,5 |
| ქალაქ ქუთაისის ადმინისტრაციულ საზღვრებში ქვეწარმავლების დასაფრთხობად აუცილებელი ტერიტორიული ერთეულების ქიმიური რეპელენტით დამუშავება | 3,0 | 2,8 |
| ნაგავსაყრელის წინასაკონსერვაციო სამუშაოების პროგრამა | 200,0 | 169,1 |
| საკანალიზაციო სისტემების მოწყობა-რეაბილიტაციის პროგრამა | 327,0 | 285,1 |
| **საბინაო-კომუნალური მეურნეობა** | **24891,5** | **21651,8** |
| წყალმომარაგება | 301,6 | 291,3 |
| გარეგანათება | 3427,6 | 3159,3 |
| საგზაო მოძრაობის ორაგნიზებისა და უსაფრთხოების სამუშაოების პროგრამა | 119,7 | 119,6 |
| შადრევნების ექსპლუატაცია | 167,0 | 163,9 |
| უმეთვალყურეოდ დარჩენილი ცხოველების იზოლაცია | 80,0 | 68,1 |

| | | |
|---|---|---|
| პროგრამა „კორპუსი“ | 5963,5 | 5117,8 |
| ქალაქის გამწვანების მოვლა პატრონობისა და სკვერების კეთილმოწყობის პროგრამა | 1298,2 | 1169,7 |
| ახალი წლის ღონისძიებების პროგრამა | 151,1 | 48,6 |
| ღვარსადენების ექსპლუატაციისა და რეაბილიტაციის პროგრამა | 2310,8 | 1345,5 |
| საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების პროგრამა | 242,5 | 201,4 |
| პანთეონის ტერიტორიის კეთილმოწყობა და მოვლა-პატრონობა | 25,0 | 22,8 |
| ქალაქ ქუთაისში პარლამენტის ახალი შენობის დაპროექტების, სამშენებლო მოედანზე არსებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟის, სეისმური და გეოლოგიური კვლევების სამუშაოები | 17,4 | |
| ქალაქ ქუთაისში ვიდეოკონტროლის ექსპლუატაციის პროგრამა | 21,8 | 21,7 |
| მარტივი ტიპის სპორტული მოედნების მოწყობა–რეაბილიტაციის პროგრამა | 644,6 | 642,0 |
| ზამთრის სეზონთან დაკავშირებული სამუშაოები | 88,0 | 42,2 |
| ქალაქის სხვადასხვა უბნებში ქუჩების დასახელების ფირნიშების დამზადებისა და გაკვრის პროგრამა | 38,7 | 26,9 |
| ქალაქის სხვადასხვა უბანში ხეების გადაბელვის პროგრამა | 70,0 | 49,7 |
| სხვადასხვა გაუთვალისწინებელი კეთილმოწყობითი ღონისძიებების პროგრამა | 100,0 | 69,9 |
| ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის დრამატული თეატრის შენობის შეკეთებითი სამუშაოების პროგრამა | 1582,6 | 1493,2 |
| მრავალსართულიანი შენობების რეაბილიტაციის პროგრამა | 763,2 | 597,8 |
| ქალაქ ქუთაისში დ. აღმაშენებლის გამზირის გამყოფი ზოლის გამწვანებისა და კეთილმოწყობის პროგრამა | 84,0 | 78,7 |
| ცენტრალური მოედნის რეაბილიტაცია | 3985,2 | 3615,0 |
| ქალაქის სხვადასხვა უბნებში ატრაქციონების მოწყობის პროგრამა | 300,0 | 298,4 |
| მერიის ადმინისტრაციული კორპუსისა და ტერიტორიული ორგანოების შენობის რეკონსტრუქციის სამუშაოების პროგრამა | 469,4 | 467,0 |
| ქალაქში ძეგლების მშენებლობისა და დემონტაჟის ხარჯები | 28,9 | 28,2 |
| ქალაქ ქუთაისში მშენებარე პარლამენტის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული საცხოვრებელი სახლების ფასადების მოწესრიგების სამუშაოებისა და მათთან დაკავშირებული სხვა ხარჯები | 2500,0 | 2463,8 |
| ააიპ ქუთაისის ფოლკლორის ცენტრი – სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის შენობის სახურავის რეაბილიტაცია | 65,7 | 49,3 |

| | | |
|---|---|---|
| ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასის განსაზღვრის ხარჯები | 45,0 | |
| **ჯანმრთელობის დაცვა** | **1070,4** | **1008,7** |
| საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამა | 161,0 | 118,8 |
| მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა | 229,4 | 223,5 |
| სამედიცინო დახმარების პროგრამა | 520,0 | 509,1 |
| სამედიცინო დაზღვევის პროგრამა | 160,0 | 157,3 |
| **სპორტი** | **4660,4** | **4648,7** |
| ააიპ ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანება | 2959,4 | 2959,4 |
| შპს საკალათბურთო კლუბი „ქუთაისი-2010" | 700,0 | 700,0 |
| ააიპ ყინულის მოედანი | 405,0 | 404,9 |
| ოლიმპიური კომიტეტი | 10,0 | 9,9 |
| სპორტული ღონისძიებები | 526,0 | 514,5 |
| ააიპ სარაგბო კლუბი „აია" | 60,0 | 60,0 |
| **კულტურა** | **6368,6** | **6271,4** |
| ი. ჭავჭავაძის სახელობის ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკა | 494,3 | 491,0 |
| ააიპ ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანება | 1931,5 | 1930,2 |
| სსიპ ნ. ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი | 61,4 | 61,3 |
| სამეფო კომპლექსი „ოქროს ჩარდახი" | 30,0 | 30,0 |
| თეატრები | 1819,0 | 1796,7 |
| ქუთაისის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი | 50,0 | 50,0 |
| ააიპ ქუთაისის ფოლკლორის ცენტრი - სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი | 333,3 | 333,3 |
| ააიპ მოსწავლე ახალგაზრდობის პარკი | 104,7 | 104,6 |
| კულტურის ღონისძიებები | 629,0 | 592,2 |
| საინფორმაციო უზრუნველყოფა | 150,0 | 137,6 |
| ახალგაზრდული ღონისძიებების პროგრამა | 268,0 | 251,8 |
| ქუთათაის -გაენათეს ეპარქია | 47,4 | 45,0 |
| საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 21 მაისის N21/05/01 განკარგულების შესაბამისად 26 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით დაგეგმილი ღონისძიებების უზრუნველსაყოფას | 450,0 | 447,7 |

| | | |
|---|---|---|
| **განათლება** | **5564,7** | **5515,6** |
| ააიპ „ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანება" | 5279,5 | 5275,7 |
| ბაგა-ბაღების სარემონტო სამუშაოები | 209,2 | 193,0 |
| განათლების ღონისძიებები | 68,0 | 39,6 |
| საშუალო ზოგადი განათლება | 8,0 | 7,3 |
| **სოციალური პროგრამები** | **1659,6** | **1587,1** |
| ვეტერანთა სარიტუალო დახმარების პროგრამა | 16,8 | 7,8 |
| მიცვალებულთა დასაფლავების პროგრამა | 37,2 | 29,1 |
| მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა | 214,6 | 205,9 |
| სოციალური ღონისძიებების პროგრამა | 247,6 | 241,1 |
| უფასო მგზავრობის პროგრამა | 97,0 | 94,1 |
| უფასო კვების პროგრამა | 39,2 | 37,9 |
| მატერიალური დახმარების პროგრამა | 525,4 | 521,3 |
| ვეტერანთა ქუთაისის საქალაქო კავშირი | 3,0 | 3,0 |
| სოციალური საცხოვრისი დახმარების პროგრამა | 28,0 | 11,8 |
| ააიპ ქალაქ ქუთაისის მადლიერების სახლი | 450,8 | 435,1 |
| **ჯამი** | **67841,3** | **61798,2** |

**სარეზერვო ფონდიდან** დახარჯულმა თანხებმა შეადგინა 471,4 ათასი ლარი (გეგმა 500,0 ათასი ლარი) მათ შორის:

მოქალაქეთა მატერიალური დახმარება - 318,6 ათასი ლარი;

სატრანსპორტო მომსახურება - 9,0 ათასი ლარი, შპს „ტრანსპორტი 2008“- 4,8 ათასი ლარი, შპს „ოშიანეტ ჯორჯია“- 4,2 ათასი ლარი;

შესრულებული სამუშაოს ღირებულება - 53,7 ათასი ლარი, შპს „წყალტუბო გზასერვისი“- 39,2 ათასი ლარი, შპს „კავკასუს როუდ პროჯექტი“ -14,5 ათასი ლარი;

საკვირაო ბაზრობებისთვის კარვების დაქირავება - 15,8 ათასი ლარი ჩაერიცხა შპს „ჯორჯიან ინვესტს“;

ინტელექტუალური თამაშების ,,რა? სად? როდის?“ ორგანიზებისათვის - 3,8 ლარი ჩაერიცხა ფ/პ კახაბერ მაჩიტიძეს.

ლ. მესხიშვილის სახელობის დრამატულ თეატრს ფესტივალის ორგანიზებისათვის ჩაერიცხა 4,5 ათასი ლარი.

ჯილდო - 0,5 ლარი ჩაერიცხა ტარიელ მარგველაშვილს;

შეზღუდული პირების დასვენების უზრუნველყოფის თანხა 2,0 ათასი ლარი დაბა ურეკში გადაერიცხა ფ/პ „მალხაზ შალამბერიძეს“;

სასმელი წყლის ღირებულება - 3,4 ათასი ლარი ჩაერიცხა შპს „სადისტრიბუციო სერვისს“;

სააღდგომო საჩუქრების თანხა - 24,2 ათასი ლარი, შპს „აშრიალი“;

კვებით მომსახურება - 2,1 ათასი ლარი, შპს „პოპული“ 1,6 ათასი ლარი, შპს „MDM ჯგუფი“ 0,5 ლარი;

ავიაბილეთების ღირებულების საფასური 9,5 ათასი ლარი ჩაერიცხა შპს „ავიაქსელს“;

საწვავის ღირებულება - 24,3 ათასი ლარის ოდენობით ჩაერიცხა შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“.

**თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება** - საანგარიშო პერიოდში ხარჯმა შეადგინა 1843,0 ათასი ლარი, გეგმა 2265,2 ათასი ლარი შესრულდა 81,4%-ით. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური დაფინანსდა 1359,1 ათასი ლარით, ხოლო შინაგან საქმეთა სამინისტროს ადგილობრივი ორგანოები - 483,9 ათასი ლარით.

**ეკონომიკური საქმიანობის** საკასო შესრულებამ 2012 წლის 12 თვეში შეადგინა 6711,5 ათასი ლარი, რაც გეგმის 8249,1 ათასი ლარის 81,4%-ია. 2011 წელთან შედარებით (2875,9 ათასი ლარი) დაფინანსება გაიზარდა 3835,6 ათასი ლარით.




<u>სასამართლო საექსპერტო მომსახურების ხარჯები</u> - გეგმით გათვალისწინებული 50,0 ათასი ლარიდან დაიხარჯა 38,9 ათასი ლარი, გეგმის 77,8%;

გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის ხარჯები - დაფინანსდა 6524,8 ათასი ლარით, რაც გეგმის (7851,5 ათასი ლარი) 83,1%-ია. პროგრამის ფარგლებში მოეწყო 5 ქუჩა დაწნეხილი ფილებით (8120 კვ.მ. ფართი), 28 ქუჩაზე დაიგო ბეტონის საფარი (75204 კვ.მ.), ასევე ნიკეას მუნიციპალიტეტში შიდაკვარტალური ღონისძიებების შემდეგ ბეტონით მოეწყო 22433 კვ.მ. ფართი, ქალაქის მასშტაბით ასფალტის საფარი დაიგო 12 ქუჩაზე (17446 კვ.მ.).

ქალაქის დამცავი კედლის მოწყობის პროგრამა - საკასო შესრულებამ შეადგინა 96,8 ათასი ლარი, გეგმა (200,0) შესრულდა 48,4%-ით;

ტურიზმის განვითარების პროგრამა - საანგარიშო პერიოდში დაიხარჯა 19,7 ათასი ლარი, გეგმის (28,0 ათასი ლარი) 70,4%; პროგრამის მიხედვით მომზადდა და გამოიცა ქუთაისისა და იმერეთის გზამკვლევი რუქა, ბროშურა „აღმოაჩინე საქართველო", ეკონომიკურმა სამსახურმა პროგრამის ფარგლებში მონაწილეობა მიიღო თელ-ავივის, ვარშავის, რიგის, თბილისისა და ბათუმის საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობებში, სადაც გაიტანა ქუთაისისა და მთლიანად იმერეთის ტურისტული რესურსების ამსახველი მასალები. 2012 წელს მთლიანად იმერეთში იმოგზაურა 175 000-ზე მეტმა ვიზიტორმა, მათი რიცხვი გასულ წელთან შედარებით 2-ჯერ გაიზარდა, მათ შორის 30-35% საერთაშორისო ვიზიტორია.

ქალაქის სტრატეგიული განვითარების პროგრამა - სულ დაიხარჯა 22,2 ათასი ლარი და გეგმა (30,0 ათასი ლარი) შესრულდა 74%-ით. დაიბეჭდა ქუთაისის სადემონსტრაციო, ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ზონირებისა და ტურისტული რუქა-ბუკლეტი. სტრატეგიული საბჭოს მუშაობისათვის, მივლინებული იქნა საბჭოს წევრი საზღვარგარეთ.

უცხოური ინვესტიციების, ბიზნესის ხელშეწყობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების პროგრამა - გეგმით გათვალისწინებული 59,6 ათასი ლარიდან დაიხარჯა 9,1 ლარი (15,3%). პროგრამის ფარგლებში ქვეყნის გარეთ და შიგნით გამართულ გამოფენებზე დემონსტრირებულ იქნა ქუთაისური პროდუქციის შესაძლებლობები, მონაწილეობა იქნა მიღებული საერთაშორისო ფორუმებში, დაიბეჭდა ქუთაისის ბიზნეს პოტენციალის ამსახველი ბუკლეტები.

**გარემოს დაცვა** საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დაფინანსდა 4144,9 ათასი ლარით, რაც გეგმით გათალისწინებული 4392,7 ათასი ლარის 94,4%-ია. 2011 წელთან შედარებით (3259,9 ათასი ლარი) ხარჯების მოცულობა გაიზარდა 885,0 ათასი ლარით:




<u>ნაგავსაყრელის წინასაკონსერვაციო სამუშაოების პროგრამა</u> - საკასო შესრულებამ შეადგინა 169,1 ათასი ლარი, გეგმა (200,0 ათასი ლარი) შესრულდა 84,6%-ით;

<u>დასუფთავების ღონისძიებები</u> - 2012 წლის 12 თვეში დაიხარჯა 3662,4 ათასი ლარი, რაც გეგმის (3822,7 ათასი ლარი) 95,8%-ია; პროგრამის შესაბამისად წლის განმავლობაში ყოველდღიურად იგვებოდა 86 ქუჩა, დასაგველი ფართის რაოდენობა შეადგენს 2340300 კვ.მ-ს. მორწყვა-ჩარეცხვა წარმოებდა 30 ქუჩაზე, რომელთა ფართობი შეადგენს 729000 კვ.მ-ს. დასუფთავების სფეროში, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების მიზნით 2012 წელში შეძენილ იქნა 6 სატრანსპორტო საშუალება, 532 მოძრავი კონტეინერი. ქუჩებში და მაგისტრალებზე განთავსდა დამატებით 450 ერთეული ერთი მეტრ კუბი ტევადობის ურნა, ასევე 200 ერთეული 50-60 ლიტრი ტევადობის ბოძზე სალტით დასამაგრებელი ურნა.

<u>პროფილაქტიკურ-სადეზინფექციო ღონისძიებების პროგრამა</u> - ხარჯებმა საანგარიშო პერიოდში შეადგინა 25,5 ათასი ლარი, გეგმის (40,0 ათასი ლარი) 63,8%;

<u>საკანალიზაციო სისტემების მოწყობა-რეაბილიტაციის პროგრამა</u> - დაფინანსდა 285,1 ათასი ლარით და გეგმა (327,0 ათასი ლარი) შესრულდა 87,2%-ით. სულ რეაბილიტაცია ჩაუტარდა და მოეწყო 1579 მეტრი სიგრძის საკანალიზაციო ობიექტი.

**საბინაო-კომუნალური მეურნეობის** კუთხით 2012 წლის განმავლობაში ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაიხარჯა 21651,8 ათასი ლარი. გეგმა (24891,5 ათასი ლარი) შესრულდა 87%-ით. ხარჯებმა 2011 წლის ხარჯებს (16025,3 ათასი ლარი) 5626,5 ათასი ლარით გადააჭარბა:




პროგრამა „კორპუსისთვის“ 2012 წლის ბიუჯეტში დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული იყო 5963,5 ათასი ლარი, აქედან დაიხარჯა 5117,8 ათასი ლარი (85,8%). პროგრამის ფარგლებში ბეტონის საფარით მოეწყო 113 მაღლივი საცხოვრებელი სახლის ეზო, დაახლოებით 5650 ოჯახისათვის. აღდგენილ იქნა ლიფტები 78 სადარბაზოში 7020 ოჯახისათვის. 66 მაღლივ საცხოვრებელ სახლში გამოიცვალა წყალ-კანალიზაციის კომუნიკაცია 1780 ოჯახისათვის. გაუქმდა ნაგავშემკრები ე.წ „ბუნკერები“. შეძენილ იქნა 532 მოძრავი სანაგვე კონტეინერი თანხით 329,8 ათასი ლარი, ასევე გადასახური მასალა 137600 კვ.მ. თანხით 1250,9 ათასი ლარი, 8640 ოჯახისათვის;

წყლის სისტემის რეაბილიტაციის პროგრამა - სულ დაიხარჯა 291,3 ათასი ლარი, გეგმა (301,6 ათასი ლარი) შესრულდა 96,6%-ით. სულ რეაბილიტაცია ჩაუტარდა და მოეწყო 4043 მეტრი წყლის სისტემის ობიექტი;

გარეგანათება - საკასო შესრულებამ 3159,3 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმით გათვალისწინებული 3427,6 ათასი ლარის 92,2%-ია; კაპიტალური სამუშაოების ჩატარება მოხდა 2 ეტაპად: პირველ ეტაპზე გაკეთდა 41 ობიექტი, ხოლო მეორე ეტაპზე 242 ობიექტი. დღეის მდგომარეობით განათებულია 789 ახალი ობიექტი, სანათების საერთო რაოდენობა შეადგენს 13632 წერტილს, რომელთა საშუალებითაც განათებულია ქალაქის 92-93%, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის უსაფრთხო გადაადგილებასა და მოძრაობას ქალაქის ტერიტორიაზე.

ქუთაისში პარლამენტის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული საცხოვრებელი სახლების ფასადების მოწესიგების სამუშაოები დაფინანსდა 2463,9 ათასი ლარით და გეგმის (2500,0 ათასი ლარი) 98,6% შეადგინა;

საგზაო მოძრაობის ორგანიზებისა და უსაფრთხოების სამუშაოების პროგრამის გეგმიდან (119,7 ათასი ლარი) დაიხარჯა 119,6 ათასი ლარი (გეგმის 99,9%); განხორციელდა 1000კგ საღებავის შეძენა, აღნიშნული საღებავით განხორციელდა მონიშვნითი სამუშაოები ქალაქის 9 ქუჩაზე.

შადრევნების ექსპლუატაციისათვის გეგმით გათვალისწინებული 167,0 ათასი ლარიდან დაიხარჯა 163,9 ათასი ლარი (98,1%). წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში ხდებოდა 5 შადრევნის მომსახურება;

ქალაქის გამწვანების მოვლა პატრონობისა და სკვერების კეთილმოწყობის პროგრამა - დაიხარჯა 1169,7 ათასი ლარი, გეგმა (1298,2 ათასი ლარი) შესრულდა 90,1%-ით; მთელი წლის განმავლობაში ხდებოდა 168 ერთეული სკვერისა და გაზონის მომსახურება. პროგრამის ფარგლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდა ხარაზოვის ბაღს, ჭავჭავაძის N58-ის მიმდებარე სკვერსა და მწვანე ყვავილას პანთეონს .

ღვარსადენების ექსპლუატაციისა და რეაბილიტაციის პროგრამა - დაზუსტებული გეგმიდან (2310,8 ათასი ლარი) საანგარიშო პერიოდში დაიხარჯა 1345,5 ათასი ლარი, გეგმის 58,2%. რეაბილიტაცია ჩაუტარდა ღვარსადენებს ქალაქის 7 ქუჩაზე. სულხან საბას დასახლებასა და შარტავას ქუჩაზე ჩატარდა შიგა კვარტალური სამუშაოები.

საპროექტო სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების პროგრამისათვის დაიხარჯა 201,4 ათასი ლარი, გეგმის (242,5 ათასი ლარი) 83,1%.

ქალაქის სხვადასხვა უბანში ატრაქციონების მოწყობა-რეაბილიტაციის პროგრამა ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა 298,4 ათასი ლარის ოდენობით, გეგმით გათვალისწინებული 300,0 ათასი ლარის 99,5%-ით. პროგრამის ფარგლებში ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელების მიერ წარმოდგენილ დისლოკაციის ადგილებზე მოეწყო საბავშვო ატრაქციონები და სკამები.

მარტივი ტიპის სპორტული მოედნების მოწყობა-რეაბილიტაციის პროგრამა - საკასო შესრულებამ შეადგინა 642,0 ათასი ლარი, რაც გეგმის (644,6 ათასი ლარი) 99,6%-ია. პერიოდის განმავლობაში ჩატარდა 21 სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოები.

ქუთაისის ცენტრალური მოედნის რეაბილიტაციის ფარგლებში მოხდა ცენტრალურ მოედანზე შადრევანის დამონტაჟება, ქვაფენილის დაგება, მოედნის მიმდებარე შენობების რეაბილიტაცია და სხვა ღონისძიებების გატარება. გეგმით გათვალისწინებული 3985,2 ათასი ლარიდან დაიხარჯა 3615,0 ათასი ლარი.

მრავალსართულიანი შენობების რეაბილიტაციის პროგრამა - დაიხარჯა 597,8 ათასი ლარი, გეგმით (763,2 ათასი ლარი) გათვალისწინებულის 78,3%. 9 აპრილის ქუჩის N7 და ირაკლი აბაშიძის ქუჩის N15, 17 ბინებს ჩაუტარდა ფასადების რეაბილიტაცია.

2012 წელს განხორციელდა ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის დრამატული თეატრის შენობის შეკეთებითი სამუშაოები, რომელიც დაფინანსდა 1493,2 ათასი ლარით (გეგმა 1582,6 ათასი ლარი). განხორციელდა გარეიერსახის რეაბილიტაცია და შიდა სარემონტო სამუშაოები, შეიცვალა განათებისა და გახმოვანების აპარატურა.

მერიის ადმინისტრაციული კორპუსისა და ტერიტორიული ორგანოების შენობის რეკონსტრუქციის სამუშაოების პროგრამა - გეგმით გათვალისწინებული 469,4 ათასი ლარიდან დაიხარჯა 467,0 ათასი ლარი(99,5%).

**სპორტი, კულტურა და რელიგია** 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა 10920,1 ათასი ლარით, რაც გეგმის (11029,0 ათასი ლარი) 99%-ს შეადგენს, წინა წელთან შედარებით (8795,2 ათასი ლარი) აღნიშნული კუთხით დაფინანსება გაიზარდა 2124,9 ათასი ლარით:




ააიპ „ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანებას“ 2012 წლის ბიუჯეტში გამოეყო 2959,4 ათასი ლარი, რომელიც სრულად იქნა ათვისებული. სპორტული სკოლების სპორტსმენებმა 2012 წლის საქართველოს ჩემპიონატზე სპორტის სხვადასხვა სახეობებში დაიკავეს 71 პირველი, 79 მეორე და 9 მესამე ადგილი. საქართველოს თასის მფლობელი გახდა 9 სპორტსმენი, მეორე ადგილი დაიკავა 21 სპორტსმენმა და მესამე 24 სპორტსმენმა, საერთაშორისო და საქართველოს სხვადასხვა რანგის ტურნირებზე ახალგაზრდებმა და კადეტებმა დაიკავეს 121 პირველი ადგილი, მეორე ადგილი დაიკავა 149 სპორტსმენმა, ხოლო მესამე 134 სპორტსმენმა. სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა №12, №15, №17, №18, №21, №94 და სხვა სპორტულ სკოლებს, ჩატარდა სპორტსმენების სასწავლო საწვრთნო შეკრებები ურეკსა და საწირეში (81,0 ათასი ლარი).

ტანსპორტით მომსახურებაში დაიხარჯა 48,0 ათასი ლარი, ხოლო სპორტულ მივლინებებში 378,9 ათასი ლარი.

შპს საკალათბურთო კლუბი „ქუთაისი 2010“ - დაფინანსდა 700,0 ათასი ლარით, ხარჯი შეადგენს გეგმის 100%-ს.

ქალაქ ქუთაისში ყინულის მოედანი მოეწყო 2011 წელს, 2012 წლის ბიუჯეტში მისი დაფინანსებისათვის გათვალისწინებული იყო 405,0 ათასი ლარი რომელიც სრულად დაიხარჯა. წლის განმავლობაში ყინულის მოედანზე მოეწყო მოწვეულ სტუმრებთან ერთად სხვადასხვა ღონისძიებები (საახალწლო, ბავშვთა დღესთან დაკავშირებით და სხვა).

სპორტის განვითარების მიზნით ადგილობრივ ბიუჯეტში არსებული სპორტული ღონისძიებების პროგრამა დაფინანსდა 514,5 ათასი ლარით, რაც გეგმის (526,0 ათასი ლარი) 97,8%-ია. პროგრამის ფარგლებში გაიცა ფულადი ჯილდოები წარმატებულ სპორტსმენებზე, მწვრთნელებზე, სპორტის დამსახურებულ მუშაკებზე, რისთვისაც დაიხარჯა 125,3 ათასი ლარი. ქალაქის ნაკრები გუნდებისათვის შეძენილ იქნა სპორტული ინვენტარი 27,0 ათასი ლარის ოდენობით. წლის განმავლობაში ჩატარდა სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, კერძოდ: ფარიკაობაში, ევროპის თასის გათამაშება ჭადრაკში, კრივში, საქალაქო ღონისძიება ინვალიდ სპორტსმენთა შორის და სხვა ღონისძიებები (100,5 ათასი ლარი).

ააიპ ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანებას 2012 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში დაზუსტებული გეგმით გამოეყო 1931,5 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 1930,3 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში შეკეთებულ იქნა №1, №2, №3, №4 მუსიკალური სკოლების შენობები. გაერთიანებაში შემავალმა ფილიალებმა საგანმანათლებლო მუშაობაში მიაღწიეს მნიშვნელოვან წარმატებებს, ჰყავთ ადგილობრივი და საერთაშორისო ფესტივალებისა და კონკურსების გამარჯვებულები.

კულტურის ღონისძიებების პროგრამის ფარგლებში წლის განმავლობაში დაფინანსდა სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, მოხდა წიგნებისა და ჟურნალების გამოცემის დაფინანსება (75,0 ათასი ლარი), ჩატარდა სხვადასხვა კონცერტები, გამოფენები და ფესტივალები (216,7 ათასი ლარი). ჰონორარის სახით გაიცა 307,1 ათასი ლარი. სულ გეგმით გათვალისწინებული 629,0 ათასი ლარიდან დაიხარჯა 592,2 ათასი ლარი (94,1%).

**განათლების კუთხით** დახარჯულმა თანხებმა 5515,6 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის (5564,7 ათასი ლარი) 99,1%-ია. 2011 წელთან შედარებით (5006,1) ხარჯები გაზრდილია 509,5 ათასი ლარით.




ააიპ „ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანება“ 2012 წელს სუბსიდიის სახით დაფინანსდა 5275,7 ათასი ლარით (გეგმა 5279,5 ათასი ლარი). გაერთიანებაში ბავშვთა რაოდენობა 2012 წელს 7000-დან 8000-მდე მერყეობდა. ყველა ბაღის შენობას ჩაუტარდა მიმდინარე სარემონტო სამუშაოები, შეიცვალა ავეჯი, საწოლები და სკამები.

**ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალურ მომსახურებაზე** გაწეული ხარჯების საკასო შესრულებამ 2595,8 ლარი შეადგინა, გეგმა (2730,0 ათასი ლარი) შესრულდა 95,1%-ით. წინა წელთან შედარებით (1661,5 ათასი ლარი) აღნიშნული კუთხით დაფინანსება გაიზარდა 934,3 ათასი ლარით:



<u>საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება</u> - წლის განმავლობასი პროგრამაზე დახარჯულმა თანხამ შეადგინა 118,8 ათასი ლარი, რაც გეგმის (161,0 ათასი ლარი) 73,8%-ია.

პროგრამის ფარგლებში ჩატარებულ იქნა სხვადასხვა დაავადების ეპიდკვლევა და დაისახა ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებები. წინასწარ შემუშავებული გეგმა-გრაფიკის საფუძველზე ჩატარდა მონიტორინგი ინფექციურ დაავადებათა აღრიცხვასთან დაკავშირებით. საბავშვო ბაღების ხელმძღვანელობასთან ჩატარდა საინფორმაციო-საგანმანათლებლო სემინარი ეპიდსურათის გაუმჯობესების მიზნით;

<u>მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამით</u> წლის განმავლობაში ისარგებლა 1859 ბენეფიციარმა. პროგრამაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 223,5 ათასი ლარი;

<u>სამედიცინო დახმარების პროგრამა</u> - მომსახურება გაეწია 930 ბენეფიციარს. დაიხარჯა 509,1 ათასი ლარი, გეგმის (520,0 ათასი ლარი) 97,9%;

<u>სამედიცინო დაზღვევის პროგრამა</u> - საანგარიშო პერიოდში პროგრამაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 157,3 ათასი ლარი. მომსახურება გაეწია სკოლამდელ დაწესებულებაში დასაქმებულ 1159 პირს, თითოეულ დაზღვეულზე პრემია გათვალისწინებულია 12 ლარის ოდენობით. ასევე მომსახურება გაეწია საგანგებო სიტუაციების სამსახურის 84 თანამშრომელს, თითოეულ დაზღვეულზე 25 ლარის ოდენობით. სულ მომსახურებით ისარგებლა 1243 ბენეფიციარმა;

<u>ვეტერანთა სარიტუალო დახმარების პროგრამა</u> - პროგრამის ბიუჯეტი გეგმით შეადგენდა 16,8 ათას ლარს, საიდანაც დაიხარჯა 7,8 ათასი ლარი. გარდაცვლილი ვეტერანის სარიტუალო ხარჯი, 300 ლარის ოდენობით, ანაზღაურდა 26 შემთხვევაში;

<u>მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა</u> - წლის განმავლობაში დახმარებით ისარგებლა 265 მრავალშვილიანმა ოჯახმა, მე-4 და მეტი შვილის შეძენასთან დაკავშირებით 45 ოჯახმა. სულ ხარჯმა შეადგინა 205,9 ათასი ლარი (გეგმა 214,6 ათასი ლარი);

<u>მიცვალებულთა დასაფლავების პროგრამა</u> - დაიხარჯა 29,1 ათასი ლარი, გეგმის (37,2 ათასი ლარი) 78,2%. გარდაცვლილ ლტოლვილთა სარიტუალო ხარჯი, 300 ლარის ოდენობით, ანაზღაურდა 88 შემთხვევაში. უპატრონო მიცვალებულის შემთხვევაში სარიტუალო მომსახურება დაფინანსდა 16 შემთხვევაზე;

<u>სოციალური ღონისძიებების პროგრამა</u> - საანგარიშო პერიოდში საკასო შესრულებამ შეადგინა 241,1 ათასი ლარი, გეგმა (247,6 ათასი ლარი) შესრულდა 97,4%-ით. პროგრამის ფარგლებში მოეწყო გარკვეული კატეგორიის ღვაწლმოსილი, დამსახურებული და სოციალურად დაუცველი პირებისათვის დღესასწაულებსა და ღირსშესანიშნავ თარიღებთან დაკავშირებული სხვადასხვა შინაარსის ღონისძიებები. ანაზღაურდა წითელი ჯვრის ადგილობრივი ორგანიზაციის კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები;

უფასო მგზავრობის პროგრამა - წლის განმავლობაში დახარჯულმა თანხამ შეადგინა 94,1 ათასი ლარი (გეგმა 97,0 ათასი ლარი). პროგრამით ისარგებლა 1029 ბენეფიციარმა;

მატერიალური დახმარების პროგრამა - პროგრამის ბიუჯეტი დაზუსტებული გეგმით შეადგენდა 525,4 ათას ლარს, დაფინანსებაზე დახარჯულმა თანხამ შეადგინა 521,3 ათასი ლარი. დახმარებით ისარგებლა სხვადასხვა კატეგორიის უკიდურესად გაჭირვებულ, სხვადასხვა პრობლემების მქონე და ფორსმაჟორულ სიტუაციაში მყოფმა ოჯახებმა;

სოციალური საცხოვრისის დახმარების პროგრამა - პროგრამის ფარგლებში ხორციელდება საცხოვრისში დასაქმებული მუშაკების შრომის და საცხოვრისის მობინადრეთა დახარჯული ელექტროენერგიის თანხის ანაზღაურება. საცხოვრისი დაკომპლექტებულია 14 ოჯახით. ხარჯებმა შეადგინა 11,8 ათასი ლარი;

ააიპ ქალაქ ქუთაისის მადლიერების სახლი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დაფინანსდა 435,1 ათასი ლარით, გეგმა (450,8 ათასი ლარი) შესრულდა 96,5%-ით.

ქალაქ ქუთაისის მერი ბ. ბრეგაძე